


დავალება 1 – დოკუმენტის შექმნა და დაფორმატება პროგრამაში MS Office Word

მაქსიმალური ქულა - 12

მოცემული ნიმუშის მიხედვით (იხ. სურათი) პროგრამაში MS Office Word შექმენით დოკუმენტი შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- სამუშაო გვერდის პარამეტრები/მახასიათებლები: ზომა – A5, ორიენტაცია – ვერტიკალური (წიგნისებრი – Portrait), მინდვრის ზომა – ოთხივე მხარეს 2,5 სმ (ან 0,98");
- აკრიფეთ ტექსტი შემდეგი პარამეტრების დაცვით: შრიფტი – Sylfaen, ზომა – 12pt; აბზაცი – 0,75 სმ (ან 0,3"). სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15. ნიმუშის შესაბამისად გამოიყენეთ: **Bold**, *Italic*, Underline;
- სქოლიო აღნიშნეთ ლათინური ასოებით (A და B); შრიფტის ზომა – 9 pt;
- ჩასვით სათანადო ნახატი (შესაბამისი წარწერებით) შემდეგი მითითებების მიხედვით:
 - o მდებარეობა – გვერდის ცენტრალური მარჯვენა მხარე (ტექსტი გარს უვლის ნახატს);
 - o წრის დიამეტრი – 4 სმ (1,57"); ფერი – ცისფერი, კონტური – ცისფერი (ერთი ტონით მუქი);
 - o ჩასვით Textbox-ი: მდებარეობა – იხ. ნიმუში; ზომა – 2 × 4 სმ (ან 0,79" × 1,57"); ჩარჩოს ფერი – ცისფერი (წრის კონტურის იდენტური); ტექსტის ზომა – 9pt;
- ნიმუშის ანალოგიურად გვერდს დაურთეთ ზედა კოლონტიტული (Header): მარჯვენა კუთხეში გააკეთეთ წარწერა „აღფრედ ვეგენერი“ (ეფექტი – *Italic*, ზომა – 12 pt), ხოლო მარცხენა კუთხეში გვერდის ნომერი – 3;
- გვერდს დაამატეთ „წყლის ნიშანი“ (Watermark): „ნიმუში“;
- შექმნილი დოკუმენტი დაიმახსოვრეთ .docx ფორმატში, დაასათაურეთ თქვენი პირადი ნომრით და ატვირთეთ სისტემაში.



დავალება 2 – ცხრილის სახით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი/დამუშავება პროგრამაში MS Office Excel

მაქსიმალური ქულა - 13

ჩამოტვირთეთ ფაილი „table_2.xlsx“. ფაილში სამუშაო გვერდზე (sheet) „დავალება“ მოცემულია ცხრილი, რომელიც უნდა დაამუშაოთ, და ამ დავალების შესასრულებლად საჭირო კონკრეტული მითითებები (ეს მითითებები, აგრეთვე, შეგიძლიათ იხილოთ სამუშაო გვერდზე „დავალების ინსტრუქცია“).

შექმნილი ფაილი დაიმახსოვრეთ .xlsx ფორმატში, დაასათაურეთ თქვენი პირადი ნომრით და ატვირთეთ სისტემაში.

დავალება 3 – პრეზენტაციის შექმნა პროგრამაში MS Office PowerPoint

მაქსიმალური ქულა - 10

წარმოიდგინეთ, რომ პროგრამაში MS Office PowerPoint მეხუთე კლასის მოსწავლეებისთვის უნდა მოამზადოთ მოკლე პრეზენტაცია კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების, კერძოდ, პრინტერისა და სკანერის შესახებ.

შექმენით პრეზენტაცია (ოთხი სლაიდი) ქვემოთ მოცემული მითითებების მიხედვით. შექმნილი ფაილი დაიმახსოვრეთ .pptx ფორმატში, დაასათაურეთ თქვენი პირადი ნომრით და ატვირთეთ სისტემაში.

☒ საერთო მოთხოვნები:

- **პრეზენტაციის დიზაინი** – ინტეგრირებული თემა Civic. შეცვალეთ მხოლოდ შრიფტი, იმუშავეთ Sylfaen-ით.
- **სლაიდიდან სლაიდზე გადასვლა** – გამოიყენეთ ნებისმიერი, თქვენთვის სასურველი ეფექტი ოთხივე სლაიდისთვის (ერთნაირი ყველა შემთხვევაში).

☒ პირველი სლაიდი – სათაური: „პერიფერიული მოწყობილობები: პრინტერი და სკანერი“.

ქვესათაურის არეში ჩაწერეთ განმარტება, თუ რა არის პერიფერიული მოწყობილობა.

☑ **მეორე სლაიდი** – სათაური: „პრინტერი და სკანერი“

ქვემოთ მოცემული ტექსტი ჩაწერეთ შემდეგი მოთხოვნების დაცვით: მოწყობილობის სახელი: ეფექტი – **Bold** და Text shadow; განმარტება: *italic*.

გამოიყენეთ ანიმაცია: Emphasis > Brush on Underline

ტექსტი:

„პრინტერი – საბეჭდი მოწყობილობა, განეკუთვნება ინფორმაციის გამომტან მოწყობილობებს და მისი დანიშნულებაა ინფორმაციის ქაღალდზე გადატანა.

სკანერი – მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაცაა გამოსახულების შეტანა კომპიუტერში. მასკანირებელი თავაკი გადაივლის ფურცელზე, წაიკითხავს გამოსახულებას და გადაიტანს კომპიუტერის მეხსიერებაში.“

☑ **მესამე სლაიდი** - სათაური: „პრინტერი“.

გამოიყენეთ Smart-art-ის „ვერტიკალური სურათებიანი სია“ (Vertical Picture List) და ჩაწერეთ შემდეგი ტექსტი:

- მატრიცული პრინტერი
- ჭავლური პრინტერი
- ლაზერული პრინტერი

სურათებისთვის განკუთვნილ ადგილას ჩასვით შემდეგ გვერდზე მოცემული სურათები შესაბამისი თანმიმდევრობით.


☑ **მეოთხე სლაიდი** - სათაური: „სკანერი“

- სლაიდის მარჯვენა მხარეს ჩასვით სკანერის გამოსახულება (სურათი მოცემულია შემდეგ გვერდზე);
- ჩასვით ქვემოთ მოცემული დავალება, ისე, რომ სლაიდშოუს მიმდინარეობისას სავარაუდო პასუხზე მაუსით დაწკაპუნების დროს სწორი პასუხის შემთხვევაში მის გასწვრივ გამოჩნდეს ნიშანი ✓, ხოლო არასწორი პასუხის შემთხვევაში – ნიშანი ✗;
- ანიმაცია: Entrance > Appear.

დავალება:

რომელია სკანერის ძირითადი მახასიათებელი?

- A. მატრიცული თავაკი
- B. მელნით გაჟღენთილი ლენტი
- C. ოპტიკური გარჩევადობა
- D. სენსორული ეკრანი



vic 2nd_table_2 - Microsoft Excel																									
Home Insert Page Layout Formulas Data Review View Acrobat																									
E24																									
	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O	P	Q	R	S	T	U	V	W	X	Y
1	მრავალწლოვანი კულტურების წარმოება საქართველოში																								
2	(ათასი ტონა)																								
3		2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013																
4	ბილი (სულ)	153.3	227.5	157.6	181.2	124.1	187.3	157.9	217.6																
5	ვაშლი	32.80	101.30	41.50	80.70	21.10	64.30	45.00	68.60																
6	მსხალი	22.5	19.6	16.4	11.1	13.7	17.6	16.1	17																
7	კომში	1.1	1.5	1.2	2.2	0.5	0.9	0.9	2.1																
8	ქლიავი	12.8	16.3	12.6	6.3	6.7	7.2	10.7	8.7																
9	ბალი, ალუბალი	4.8	5.5	4	4	3	2.7	5.1	5.6																
10	გარგარი	0.5	0.3	0.7	0.2	0.8	0.3	0.7	0.7																
11	ატამი	5.3	8.2	13.7	17.6	6.9	19.1	7.1	23.7																
12	ტყემალი	24.3	18.6	18	6.9	11.9	9.7	13.7	10.3																
13	კაკალი	3.9	11.8	6.2	8.2	6.1	5.7	4.8	10.8																
14	თხილი	23.5	21.2	18.7	21.8	28.8	31.1	24.7	39.7																
15	სუბტროპიკული ხილი	21.2	22.1	23.7	21.4	22.4	25.3	26.2	27.8																
16	კენკროვანი ხილი	0.6	1.1	0.9	0.4	0.8	1.8	1.2	0.7																
17	დანარჩენი ხილი	0	0	0	0.4	1.4	1.6	1.5	1.9																
18	ციტრუსი (სულ)	52.2	98.9	55.2	93.6	52.1	54.9	77	110.4																
19	მანდარინი	48.4	93.6	51.6	90.5	48.6	53.1	71.1	107.1																
20	ფორთოხალი	1.9	3.7	1.9	1.5	1.4	0.6	3.5	1.4																
21	ლიმონი	1.9	1.6	1.7	1.6	2.1	1.2	2.4	1.9																
22	ჩაი	6.6	7.5	5.4	5.8	3.5	2.9	2.6	3.3																
23																									
24																									
25																									
26																									
27																									
28																									
29																									
30																									
31																									
32																									
33																									
34																									
35																									
36																									
37																									
38																									
39																									
40																									
41																									
42																									
43																									
44																									
45																									
46																									
47																									

დავალების ინსტრუქცია*

მაქსიმალური ქულა – 13

განიხილეთ მოცემული ცხრილი და შეასრულეთ დავალბა შემდეგი მითითებების მიხედვით:

2.1: K სვეტის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ 2006-2013 წლებში საქართველოში წარმოებული მრავალწლოვანი კულტურების მაქსიმალური რაოდენობები (ათას ტონებში).

2.2: გამოთვალეთ, 2006-2013 წლებში საქართველოში თითოეულ წელს წარმოებული ხილის საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა იამვე წელს წარმოებული კაკალი და რამდენ პროცენტს – თხილი. შედეგები წარმოადგინეთ (შეასუდების სიზუსტით) 24-ე და 25-ე სტრიქონების შესაბამის უჯრებში.

2.3: გამოთვალეთ, როგორ იცვლებოდა **2010-2013** წლებში საქართველოში წარმოებული მრავალწლოვანი კულტურების ყოველწლიური რაოდენობები წინა წელთან შედარებით (მაგალითად, 2007 წელს ვაშლის წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა, სხვაობაა 101,3 – 32,8 = 68,5 ათასი ტონა, ხოლო 2008 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა, სხვაობაა 41,5 – 101,3 = –59,8 ათასი ტონა) და შედეგები წარმოადგინეთ ცხრილის სახით. ამისთვის გამოიყენეთ 30-დან 51-ის ჩათვლით სტრიქონებისა და **A დან E-ის ჩათვლით** სვეტების შესაბამისი უჯრები.

2.4:

- 2006-2013 წლებში საქართველოში წარმოებული ბლის, გარგრისა და ატმის რაოდენობები წარმოადგინეთ **სვეტოვანი დიაგრამის** სახით (ორგანზომილებიანი -2D დიაგრამა).
- დიაგრამა დაასათაურეთ: „**ხილის წარმოება**“ (სათაური განათავსეთ ცხრილის ქვემოთ, ცენტრში).
- ინტერვალი დიაგრამის ვერტიკალურ ღერძზე – **2** ერთეული.
- ვერტიკალური ღერძის მაჩვენებლები (ათასი ტონა) წარმოადგინეთ **შეათედის** სიზუსტით.
- დიაგრამას დაურთეთ ლეგენდა (სერიების შესაბამისი სახელები).
- დიაგრამის ჰორიზონტალურ ღერძზე მიუთითეთ წლები.
- თითოეული სვეტის თავზე გამოსახეთ შესაბამისი რიცხვითი მაჩვენებლები.

*იგივე ინსტრუქცია მოცემულია სამუშაო ველის მეორე გვერდზე (sheet) „დავალბების ინსტრუქცია“.